იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურად 3 ბაბ. ცალკე ნუსხური ეკზემპლარი 5 შაური.
წლიური ხელის მოწერილობა გადაიხდის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი ექვსი ნაწილ-ნაწილად. სახლვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ტექსტის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამწლევიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თორმეტჯერ საღამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

შაბათი 2 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“
თვითდასის ქუჩა, ფარლაგოვ თამაშაძის ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელაისა.
ტელეფონი № 4.

№ 120 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 120

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის	1 შაური.

წლიური დასაკვეთებაზე ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. სახლვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის გამომათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гаврилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები წერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაუკვეთლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილთან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ქუთაისი
პირველი პერმ. სამკურნალო
სპეციალისტი ექიმებით.
მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.
ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:
დილით.
პრივატ-დოცენტი ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის შვილიანის დოკტორი ვ. პ. მოსეშვილი შანავარი და ნეკრების.
ა. ს. მარქოზი.—ყელის. ცხვირის. ყურისა. . . . . 1—2
გ. ს. ნადარაძე.—შინაგანი და ბავშის . . . . . 10—11
ს. ს. რელიგიონი.—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ ღღე . . 11—2
შ. დ. ბეთანიშვილი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . 12—2
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . 12 1/2—2
საღამოთი.
გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით . . . . . 4 1/2—5 1/2
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . 5 1/2—6/
სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებელათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატორთან. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ამბულაცია და კონსულტაცია მორიგეობით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53
სამკურნალოს დირექტორი—ვ. ს. ჭოდოშვილი

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება
თ. მთაფერიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:
„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . . . ფ. 1 აბაზი
„ლაცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაჰარას ნამობი“—ს. ყიფიანის . . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“. . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)
იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

ექიმის იგ. ბოგერიას
საავათმყოფო
აშენდება ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მისეულის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწყებ ავათმყოფებს დებულებებენ ეოველ დროს.

განცხადება.

ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველისა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. საზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ცაგარეიშვილი.

მოწოდება
ქუთაისის ქალაქ. მოურავისა
მოქალაქენო!

რადგან დღეს სწარმოებს სომხეთი, უმაგალითო ომი, თვითოეული თქვენგანი ზნეობრივად ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ ომის საშინელების შემსუბუქებას. ომით გამოწვეული საშინელებათაგან ყველაზე უფრო შემზარავია შიმშილი. ჩემგან შეკრებილი ცნობები, სამწუხაროდ, ამტკიცებენ, რომ ქუთაისის ზოგიერთმა მოვაჭრეებმა, ისარგებლებს რა შავბნელ ომიანობის დროით, ხელოვნურად გააძვირეს ხალხისთვის აუცილებელი სახოვაგე: პური, ხორცი, შაქარი, ნავთი და სხ. ამ დროს ამგვარი მოქმედება შეუწყნარებელია, სამარცხვინოა, ნუ დავიწყებენ სახოვაგით მოვაჭრენი, რომ ისინიც მოქალაქეთა სახელს ატარებენ და ამისთვის მოვალე არის თავის ქალაქის და ქვეყნის წინაშე არ დაამშიონ ღარიბ-ღატაკი მცხოვრებლები, არ დაამშიონ ღვთის ანაბარად მიტოვებული ცოლშვილი ომში გაწვეულ ჯარის-კაცებისა. შიმშს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხალხისთვის საჭირო სანოვაგის სიმცირე დროებით მოველენას შეადგენს. ბ. გუბერნატორისა და ქალაქის თვით მართველობისაგან უკვე მიღებულია საჭირო ზომები, რომ რაკი ნის გზამ სანოვაგე დაჩქარებით მოაწოდოს ჩვენს ქალაქს.

სანოვაგით დაინტერესებულთ ვსთხოვ მიმართონ განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც ჩემის თავჯდომარეობით ირკვევს სანოვაგის საკითხებს.

ქალაქის მოურავი ილ. ჩიქოვანი.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა მოუწოდებს

ცოლებს, შვილებს, მამებს, დედებს და სხვა ახლობელ ნათესავებს, რომელთაც არ ჩენდენ ეხლანა.

მობილიზაციის გამო

ომში გაწვეულნი ჯარის კაცები, გამოცხადენ გამგეობის დარბაზში, 1 აგვისტოს 1914 წელსა. ოჯახის შემადგენლობის და ნივთიერ მდგომარეობის გამოსარკვევად; განზრახულია მიეცეთ ამ ოჯახებს შეწყობა და მფარველობა ომიანობის დროს.

ОБЪЯВЛЕНІЕ.
Р. О. П. и Т.

Въ виду исключительнаго положенія, настоящимъ Русское Общество Пароходства и Торговли предлагаетъ г.г. товарополучателямъ озаботиться немедленнымъ пріемомъ всѣхъ грузовъ, прибывшихъ изъ внутренныхъ, балтійскихъ и заграничныхъ портовъ.

განცხადება.

რადგანაც საგანგებო გარემოება ჩამოვარდა, რუსეთის სანავსნო და საგზურა სანოგადოება სთხოვს, საქართველის მცხოვრებს დაუფიქრებლად გამოიწეროს კანტორიდან შიდა რუსეთისა, ბალტიისა და სახელგარეთის ნავსადგურებიდან მათ სახელზე მოსული საქონელი.

გ. უნივერსიტეტის შედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკაბელაშვილი სახლდარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტროენით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის ანაზანები. მიღება დილის 9—12 სათ. და საღ. 5—7 სათ.

მისამართი: ქარავალისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი მ. დ. ბეგიაშვილი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9 12 ს., საღამოს 5—8 ს. ფუთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

ექიმი ქ. ტყებილაშვილი ღებულობს ავათმყოფებს (ვენერიული, კანის, ტ სიფილისისა) ოქტომბრის გასსერმანის მეოთხეთ სასხლეს. დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

ექიმი ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზეით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. ქალას, გენერალი (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტროენის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმმა გ. ალშიბაიამ საავარაკოთ გამგზავრების გამო შესწყვიტა ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდე.

ექიმმა ი. ჩარექოვმა შესწყვიტა ავათმყოფების მიღება ექვს აგვისტომდის.

დოკტორი მედიცინის, პრივატ-დოცენტი ვ. პ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ქ. ქუთაისში
კაბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების კეთება.
მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.
ტელეფონი 153.

ექიმი გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პრავოსლ. ეთოიის პირპირა).

ჩვენი ფოსტა.

სვირი. ბ. დ. მდივანს. თქვენს წერილს, სამწუხაროთ, ვერ დავბეჭდავთ. ამას არც დრო უწყობს ხელს და არც გარემოება.

ქუთაისი
ახალი ამბავი.
რედაქციის კანტორისაგან.

რედაქციის კანტორა ბოდიშს იხდის თავის ხელისმომწერლების წინაშე, რომ ასეთ მდარე ქაღალდზე უხდება გაზეთის ბეჭდვა, ვინაიდან ქუთაისში გაზეთის ქაღალდი აღარ მოიპოება და სხვა ქალაქიდან გამოწერილი კი ძალზე იგვიანებს.

✦ ივლისის 17 ბახმაროს თეატრის დარბაზში ჩატ შარაშიძის ასულმა ლექცია წაიკითხა უკვდავ ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ და ბელეტრისტულ ნაწარმოებთა შესახებ.

მან დაგვიხასიათა ნინოშვილი, როგორც ბელეტრისტი, როგორც საუეთესო გამომთქმელი ხალხის დუხჭირი ცხოვრებისა. ლექცია კარგი ქართულით არის დაწერილი. ეს ლექცია მას რამდენიმე ადგილს წაუკითხავს და საზოგადოებას ძალიან მოსწონს.

— 17 ივლისს თეატრის გამგეებისა და სანიტარული კომისიის ხელმძღვანელობით სასოგადო კრება მოხდა. კრებას უნდა განეხილა შემდეგი კითხვები: საჭიროა თუ არა თეატრის დარბაზის ქერის შელამაზება და მეორე: აგარაკის სისუფთავე. კრებამ ცოტა ხნის კამათის შემდეგ გადასწყვიტა: თეატრის დარბაზის ჭერი ჭელემბურათ დარჩეს.

მეორე საკითხს —აგარაკის სისუფთავეს —კრებამ დიდი ყურადღება მიაქცია და შესაფერი დადგენილებაც გამოიტანა.

✦ დღეს, 2 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ქალაქის გამეთა, საკრებულო ტაბარში პარაკლისს გადაიხდის **რუსის მხედრობის გასამარჯვებლათ.**

✦ გუშინ, 1 აგვისტოს, ქართულ გიმნაზიაში მერვე კლასის მეგზამენი ფრანგულ ენაში კარგათ ჩატარდა. შე-

ორე ეგზამენი დანიშნულია კვირას 3 აგვისტოს, სამართლის ლოტნაში.

◆ ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო ინსპექტორმა ნება დართო შავიქის სახშოს, გახსნას მომავალ სეპტემბერში, დ. ჭიათურის პირველდაწყებით ეკოლის საქალებო სასწავლებელში მესამე კლასი.

◆ როგორც ს. ხრესილიდან გვწერენ, 30 ივლისს, ხრესილში მატარებელს რკინის გზაზე მოუსწავს მეფეიანე მიხეილ ლომსაძეისე ლომსაძეიანე ერთადერთი მარჩენალი იყო წვარი ცოლ-შვილისა.

◆ 31 ივლისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, შესდგა სანოვაგის საკითხის გამომრკველი კომისიის სხდომა ქალაქის თავის ი. მ. ჩიქვანის თავჯდომარეობით. სხდომაზე მსჯელობა იქონიეს თუ როგორ მოაწყონ ქუთაისში სანოვაგის შემოტანა-გაზიდვის საქმე. რადგანაც ამ სხდომაზე ყველა საკითხები ვერ დასრულდეს შემდეგი სხდომა დანიშნეს 1 აგვისტოს.

◆ გაზიდვის საქმე, რადგანაც ამ სხდომაზე ყველა საკითხები ვერ დასრულდეს შემდეგი სხდომა დანიშნეს 1 აგვისტოს.

◆ ქ. თფილისის მცხოვრებს, გიორგი სარხუშოვს, 30 ივლისს, ქუთაისში დაკარგვია უკადო პასპორტი.

◆ როგორც სოფ. კურსებიდან გვწერენ, 30 ივლისს, იქ მოსული დიდი სეტყვა. ყანები და ხეხილი სეტყვას ერთიანად გაუნადგურებია. ვენახი რომ საშუალოდ მოკრავს. დიდ ნიადაგებზე მდინარე წყალწითელი ძალზე აუდიდებია და წისქვილები თან წაუღია. მთელი სოფელი ტნუბეშო მდგომარეობაში ჩავარდნილ ვერცხ მომავალს უნუგეშოთ შეუნუგეშოთ.

◆ დღეს, 2 აგვისტოს, ოლქის სასამართლოში გაირჩევა ლაზარე იოსებიძის კალისტრატე ორმოცაძის საქმე. პირველი ისჯება 1455 საკანონმდებლო მუხლის პირველი ნაწილის ძალით და მეორე ნაწ. და 1606 მუხლის ძალით.

◆ 31 ივლისს, პოლიციამ გაანთავისუფლა 18 ივლისს ვაზ. „ახალი აზრის" კ. რამიშვილი. ტ. გვარამია, გ. ჩიქოვანი და დ. ღლონტი. სხვები ისევ გაუთავისუფლებელი არიან.

31 ივლისს, მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ, 25 მან. დააჯარიმა მეფურნე ანესტი სიტმლიდი პურის ცუდათ გამოცხობისთვის.

◆ ივანოვის ქუჩაზე ამ ერთ ქვაფენილებში ალაგ ალაგ ჩაწერული არის. ამის გამო ბევრი მგზავრს ფეხი უჭირება და ძმიმედ მარცხდება, 29 ივლისს ერთი მეღუქნე თხრილში ჩავარდა და დამსხვრეული ძლივს ამოიყვანეს. ასეთივე შემთხვევაში მოხდა კათოლიკების ქუჩაზე თ-

ფურიასეულ სახლის წინ ჩავარდა საადგილ-მამულო ბანკის კასირი, რომელიც ძალზე დაზიანდა. ამ ერთმა იგი ავათ იმყოფება. საჭიროა ამ გარემოების ყურადღება მიექცეს.

◆ დღეს, 2 აგვისტოს, სახოგადო საკრებულოს სახაფხულო შენობაში შესდგება, სათანახო სიდამო, ლოტო და ცეკვა. შემდეგი სალამოები, სამშაბათს 5-სა და ხუთშაბათს 7 აგვისტოს.

◆ ჩვენი გაზეთის 118 ნუმერის დღიურში ეწერა „მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ ორი კვირის ციხე მიუსაჯა მინადრია ჭანიშვილის ქალსა". უნდა იყოს: ჭეიშვილის ქალს.

◆ რადგანაც ქუთაისში საკმაო გაზეთის ქალალდი აღარ მოიპოვება. გაზ. „ჩვენი აზრის" გამოკვება რამდენიმე დღით შეჩერდა.

◆ 31 ივლისს, მომრიგებელმა მოსამართლემ 3 მანეთით დააჯარიმა ნელსესი აკოფოვი, ნორიალური წესის დარღვევისათვის.

თფილისი.

ტრამვაის საქმარისი რაოდენი ჯერ კიდევ არ შეშარხა თფილისში. ამის მიზეზია როგორც მოსამსახურეთა, სამეცნიერო, ისე მრავალ ადგილობრივთა, რომლის შეკვეთებაც სწორმოეს. რამდენიმე ახალი მოსამსახურე დირეცქიამ უკვე მიიღო. მიღება კვლავ გრძელდება.

— კახეთის რკინიგზის უფროსი ინჟინერი ა. ფ. რაკიბოროკი 29 ივლისს მეფის მოადგილეს წარუდგა.

— სამინისტროების სასწავლებელი წელს ექვსმა ქართველმა გაათავა. მოკვეყვეს მათი ვვარები: მ. გაბისონია, ე. ფალიქაძე, ე. მეზაბედე, ს. ნადირაშვილი, ვ. ნიკურაძე და დავ. ჩხენკელი.

— ტრამვაით მოგზაურობა აქეამად მეტად სახიფათოა. ვანსაკუთრებით ვირისა და ცოცხალი დაღმართზე, რადგანაც ვაგონებს გარშემო იქდენით ბევრი ხალხი უსხდება, რომ ყოველ წამს უბედურება მოსალოდნელია. 28 ივლისს მუხრანის ხიდზე კანადამ დიდი უბედურება მოხდა: ხალხით დატვირთული ორი ვაგონი ერთანეთს შეხდა და ვაგონების ნაპირებზე მოკვარდენ და კინადამ გასრესილ იქნენ. 15-დი კაცი დაშავდა. საჭიროა, სანამ ხალხით დატვირთულ ვაგონებს იყრძალოს ვაგონების გარშემო ხალხის დგომა.

სამხედრო სასამართლომ ამ დღეებში გაარჩია საქმე რამდენიმე კაცისა. მათ ჯაჩოთა ბრძოლში მონაწილეობის მიეთას ბრალდებოდა. სამართალში მიცემულნი იყვნენ გორის მაზრის მცხოვრებნი. ივანე გოგოლაშვილი, დავით ჩიქანიძე, კოსტანტინე ბუდალაშვილი, ზაქარია ფუცაშვილი, გიორგი კარბელაშვილი, გრიგოლ ცუტალაშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე პარკაძე და ალექსანდრე ქვლიძე. სასამართლომ ყველანი გაამართლა.

— ქალბატონო ეუთხარი მე დაინტერესებული მისი საქმით, თუ თქვენ ნებას მომცემთ გაგაცნობთ.

— გმადლობთ,— მიპასუხა (და თან დაუმატა, დამიძახეთ ქალიშვილი და არა ქალბატონი.

დავაცქერდი დაკვირვებით და, მართალაც, შეეტყვე, რომ ის იყო სულ ახალგაზდა ყმაწვილი ქალი, ჩვიდმეტი წლის, ძალიან ლამაზი. მკრთალი და მასთან შავგვრემანი. მას ეცვა შავათ, თავზე სუბუქი სამოსელე ეხურა.

ის მარჯვენით მიდგა, ხმას არ იღებდა, არც იქცერებოდა ჩემსკენ და არც მე მაწუხებდა, თუ როგორ შევხედებოდი მას სახეზე. ათ წამს შემდეგ ჩვენ მივედით საპოლიტიკო სამწერლოსთან. ჩვენ ორთავენი ერთად შევედით. კუთხეში მატარებლებზე ეძინათ დარაჯებს.

არ ეძინა მხოლოდ ზედამხედველს, ის რაღაცას სწერდა.

— აი, ამ ქალიშვილს უნდა ბოქაულის ნახვა, დიდი საქმე აქვს მასთან, ეუთხარი მე.

ზედამხედველმა აწია თავი და რო შეხედა ჩემს ტანსაცმელს ღუნტებით გაწყობილს, მან ყურიც არ მათხოვა. ამასობაში კარი გაიღო და ოთახში ბოქაული შემოვიდა.

მე მივედი ბოქაულთან და მოკლედ გადავეცი, თუ რა ენახე ბმ ქალთან ერთად.

ბოქაულმა თავის მისაღებ ოთახში მიგვიწვია. ბოქაული დაჯდა სკამზე, შემდეგ მიუბრუნდა ქალს და უთხრა:

— მე ყურს გიგდებთ, თქვენ!

— ბატონო ბოქაულო! დაიწყო ქალმა.

სრულიად ევროპის ომი

დეპეშები

ზეც. დეპ. სააგენტოსაგან. 30 ივლისა.

ლონდონი. შესახებ ავსტრიისა და სერბიას შორის ომის მსვლელობისა რეიტერს შეუტყვია, რომ ავსტრიის ჯარმა განიზრახა სერბიის ჩრდილოეთის სახლვრების გადალახვა მაგრამ განზრახვამ უშედეგოთ ჩაუარა. ავსტრიის ჯარმა დიდი ზარალით უკან დაიხია. სერბიელთა ზარალიც ძლიერ დიდია.

„ეკსცელსიორში" იუწყებიან, უკვე დაიწყო ბრძოლა ფრანგთა და გერმანელთა ლაშქართა შორის ლონგვიმთი.

პარაჭი. ტუობინებიან, რომ ლონგვისა, ლონგვიუონისა, მერვილისა და კარტონის ფორტიფებე შეტაკებები მოხდეო. გერმანიის ცხენოსანთა ჯარის მზეურავები მონაშვიან ოლქის ჩრდილოეთით გამოჩნდნენ.

ლონდონი. ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ პირველი დიდი ცხენოსან ჯარის ბრძოლა დაიწყო 29 ივლისს, სანამთანი, რაცა ბელგიის ულანთა პოლკი შეხვდა რამდენიმე ათას გერმანელ ცხენოსანს და ტყვიის მტყორცნელებს, რომლებიც ტირეზონის იერიშს ამირებდნენ. მცირე ბრძოლის შემდეგ რომელის დროს ორი ოფიცერი და მცირე რიცხვი სალდათების დაკარგეს, ულანებმა უკან დაიხიეს. 30 ივლისს, დილით გერმანიის ცხენოსანი რაზმი განაგრძობდა იერიშს, მაგრამ ბელგიელთა ჯარი ვერ გაიარეკვა. შემდეგ გერმანელთა ცხენოსანმა ჯარმა ბელგიის ქვეითა ჯარის შეტევით უკან დაიხია. გლეხები ამბობენ, გერმანელები უმოწყალოთ ხოცავენ დაჭრილებსო. ლიეჟეთან ბრძოლა განახლდა. გერმანელები ზარაზნებს ესვრიან და იერიში მიაქვთ ფორტებზე, რომლებიც ენერგიულად უპასუხებენ.

ლონდონი. მთავარმსის ინგლისმა ავსტრო-უნგრეთის ომი გამოუცხადა.

პარაჭი. გამოცხადდა ოფიციალური ცნობა, სათმო მოქმედებათა შესახებ. აქამდისინ ამ მოქმედებას უმთავრესად ეწეოდნენ ეს ცხოთა ზარაზნები შეტაკების ხასიათი ჰქონდათ. ეს ცხოთა ზარაზნები ბრძოლის დროს ფრანგების დახოცილ და დაჭრილ ჯარისკაცთა რიცხვი 20000 უდრიდეს. ნამდვილათ კი ფრანგთა ჯარის რიცხვი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა მიულპაუზენთან 20000 არ უდრის. საქმე შემდეგნაირად იყო: ფრანგ ქვეითა ჯარის ბრიგადა, რომელმაც თავისი მოწინავე რაზებები გაგზავნა მიულპაუზენში გერმანელ ჯარების ინფორმაციულ ცენტრის მოსაპოვებლათ, ზედ წააწყდა გერმანელ 14 კორპუსის და დივიზიის კონტრ იერიშს. რადგანაც ფრანგ ბრიგადას თავისი მეზანი შესრულებული ქონდა, კორპუსის უმფროსის ბრძანებით ბრიგადამ

— მე მოველი თქვენთან, მისთვის რომ ჩემი დანაშაული ამეღიარებია: „მე გუშინ მოვკალი დედა".

მე შიშისაგან სკამიდან წამოვარდი. ბოქაულმა განცვიფრებით შეხედა მას და უთხრა:

— მითხარით, თუ რა იყო მიზეზი მაქ სისაზიზრისა?!

ქალი წამოიწია და დაიწყო.

— მე ვარ ერთადერთი შვილი ჩემი მშობლებისა. იქითა თვეში მე გავდები ჩვიდმეტი წლისა. მე მეძახიან ვერას, ჩემი მამა მოკვდა ათი წლის წინათ. მამის სიკვდილს შემდეგ, მე და დედა ეცხოვრობდით ერთად მარტო. ჩვენთან არასდროს არავინ არ ყოფილა. ერთხელ, მარშან, სახლში მასვლისას, მე წავაწყდი ვიღაც მოხუცებულ კაცს, რომელსაც დედა ჩვეი დიდ პატივს სცემდა. დედამ მე მიმიმბო, რომ ეს მოხუცი მდიდარი ხაზინადარია, რომელიც ჩვენ გვიფარავს და ერგება ჩვენს ოჯახურ საქმეშიო.

ეს ხაზინადარი მე სრულიად არ მომწონან, მაგრამ მაინც პატივისცემდი. ისე კვირა არ გავიდოდა, რომ ორჯერ-სამჯერ არ მოსულიყო ჩვენთან. დარჩებოდა დიდხანს და ყო გართული ლაპარაკობდენ, რომ ერთი სიტყვის გაგონებაც კი არ შემეძლო. ხან და ხან ისინი ჩემსკენ გადმოიხედავდენ, მე კი ვერ მეპარებოდა, ვაი თუ ჩემზეა ლაპარაკი მეთქი. ბოლოს ისინი დაიჯდენ კიდეც. საღილათ თითქმის ყოველ მოსვლაზე რჩებოდა. როდესაც წავიდოდა, იგი მაკოცებდა მე ან ხელზე და ან შუბლზე. ერთს მშვენიერ დღეს დედამ მითხრა:

— იცი, შვილო, ხაზინადარმა ჩვენ საღამოზე დაგვპატიჟა, შენ არ იცი მისი სახლი? ეს დიდი შესამჩნევი შენობაა. ოშვიათია მთელ ქალაქში.

საღამოს ცხრა საათზე ჩვენ ჩავსხედით ეტლში და მივედით, მართალაც რომ მშვენიერს დიდ სახლთან. წინა კარიდან ჩვენ შევედით ბნელს ზალაში. აქ დედამ მე დამტოვა, მითხრა დამეცადნა მისთვის, თვითონ კი გავიდა მეორე ოთახში. გავიდა 10—15 წამი, ნახევარი საათიც კი, მე არაფერი მესმოდა, ამიტანა შიშმა. წამოვიწიე, მინდოდა დამედახნა დედაშვილი, რომ უეცრად მოულოდნელათ ვიღაცამ ხელები მომხვია.

— გაეგე ყოველ ეჭვი, — გაიწკეტინა ბოქაულმა ლაპარაკი, როგორ გამოდით შემდეგ იმ სახლიდან?

ვერა, განაგრძობდა ამბავს, ყურადღებაც კი არ მიმიქცევია ბოქაულის ჯითხვაზე.

— იმ ღამეი მე არაფერზე ტკბი არ ამიღია. მაშინეც მიეხვედი, რომ დედამ ეე მიმაყიდა მის მეგობარის მდიდარ ხაზინადარს. მე წინააღმდეგობა არ გამიწევია, არც მიყვირია და არც ამოვიკვნესია, ტკივილიც კი არ წამომისვია. ყოველივე წუნარით და აუდელვებლივ გადავიტანე. ეს ღამე ისე შორს იყო, რომ არც კი მახსოვს კარგად ყოველივე, ესეც გიგონებიით მოვიგონე რაც გიმახსოვს. დილის რვა საათზე მე გამოველი ხაზინადრის სახლიდან, ხელზე მქონდა ორი ოქროს ბრასლეტი.

— ოჰ, ღმერთს გეფიცებით, პატრონათ შეძენილი.

არ მახსოვს კარგად თითოეული ჩემი ნაბიჯი. ქუჩაში გამოსვლისას, მე დავუხვე ეტლს და გავსწიე სახლისკენ. სახლში მისელისას, მიეაშურე პირდაპირ დედის ოთახს. ჩემი გული სხეირდა.... დედა ისევ ლოგინში იწვა. ჩემ შეხედვაზე, იგი შეკრთა და მომძახახა:

— აი??

მივედი ლოგინთან და ჩუმათ ვკითხე:

— შენ გამოდე დედა მე? გაიფიე შენი შვილი? ისიც რაზე? დიდ ნივთზე მიპასუხე...

პასუხს ველარ მოვუცადე, ვსტაცე ხელი კისერში და რაც ღონე მქონდა ისე მოვკუმირე ორივე ხელი. რაც უფრო ვიღლებოდი, მით უფრო ღონე მემატებოდა, უეცრად ის წამოიწია, სულ-ლიერი თვალებ გამოპარული შემოხედა მე და დაეცა პირაკმა. მე ხელი გავუშვი, ის უკვე მკვდარი იყო, მე შევკრთი, შიშმა ამიტანა, დავტოვე მკვდარი და გავიქეცი. მთელი დღე გიჟსავით ვეხეტიალე,—არ ვიცი სად, მინდოდა გავთ და გავეხარებინე, მაგრამ არ ვიცოდი ვისთვის მიმეძართა. ის, ერთ საათის წინ შეეხედი ამ კაცს... და მან მიჩვენა მე გზა აქით...

მე გამოვემშვიდობე ბოქაულს. დაბრუნდი შინისკენ. მაგრამ რამდენიმე დღის განმავლობაში არ შემიძლია დაწუწანებულიყავ. ღმერთ, თვალ წინ მედგა ვერა, რომელიც ახრჩობდა თავის მოხუც დედას, თეთრ ხუჭუჭა თმით...

საქმე წავიდა დამოსაძიებლათ... რამდენიმე თვის შემდეგ დაიწყო საქმე. მე დამიბარეს, როგორც მოწმეთაგანი...

— —

მე ვფიქრობ, რომ თქვენ, მკითხველო, დღევეე მიხვდებით, რომ ვერას გაამართლებდნენ. მეც ვხედავ, რომ იგი გამართლების ღირსია.

...ბრძოლა დაიწყო. ორივე მხრიდან ...—6000 კაცი იბრძოდა, ყოველგვარ ...სომარი იარაღით. მეღდარი ბრძო... შემდეგ, გერმანელებმა არეულათ ...ტის და ბრძოლის ველზე ბევრი და... და მოკლული დასტოვეს; იმავე ...ს გერმანელებმა კიდევ მოინდომეს ...ნების მიტანა, მაგრამ უკუგდებულ იქ... ველგიელებისაგან, ეს იყო პირველი ...ბოლო ბელგიელებისა გაშლილ მინ...ზე.

გაზეთებიდან. ინგლისიდან მოსულნი ...წყებიან, რომ ინგლისის გემები ასო... გავიდა ზღვაში ნაღმების შესაგრო... ბლათ. ინგლისის სამხედროთა ფლო... ველი დანიშნა თითოული ნაღმის ...ებერაში. რამდენიმე ნაღმი უკვე ამოი... წულიან. ბრიუსელიდან დეპეშით ...წყებიან, რომ ლიეჟში ბელგიელების ...გერმანელები გასულანი. ვერმა... ...ელები იმედს ჯარსა კარგეზე, რომ ჯერ ...ბრძოლა ისტანთან არ მთავრდება.

პარაზა. კონსტანტინოპოლიდან დეპე... იტყობინებიან, რომ ოსმალეთის მთავ... ბა განაცხადა: რომ მან დარდანელზე ...ატარა ჭრილობები: გებენი და ბრესლაუ, ...ადან მან იგინი იყიდა გერმანიისგან. ...ემები დარდანელში შეგიდენ ოსმალე... ...ი ნაირზე. გერმანიის ტყლები გადა... ...ს ნაირზე.

პარაზა. საფრანგეთის პრესა პროტესტს ...ცხადებს ოსმალეთის ამ განცხადების შე... ...ებ. „ეხო ლებარი“ წერს: ოსმალეთი ...დ გაუფრთხილებლობას იჩენს, როცა ...ნის საქიროები იწვევს საყოველთაო ...ყოფილებას, რომელიც საბოლოოთ ...ყვანს ბულგარეთს სლავიანთა კალთა... და ეგე ფერდინანდს კი ადრიანოპოლი... გაზეთი უმატებს,—საერთაშორისო ...შეურულობაში ნაჩვენები არაა. რომ ...ბრძოლ მხარეს შეეძლოს სამხედრო ...ებები მიეღოს ნეიტრალურ სახელმწი... ...ოს. 26 თებერვლის 1909 წლის ლონ... ...ონის დეკლარაციაში ნაჩვენები მხო... ...ოდ საჭირო გემების გაყიდვა.

შენა. მოკავშირეთა საბჭომ გადასწყვიტა ...ა დაუყოვნებლივ გაძოუშვას 30 მილიო... ...ი ფრანკი 5 პროცენტიანი სესხი 99 ...ურსით, რომელიც გადახდილ უნდა იქ... ...ას 1917 წ. თებერვალში.

სპილკა. ინდოეთის ყველა მხედრობა ...გლისის ჯარში მონაწილეობის სურვი... ...ა განაცხადა.

ლონდონი. ბაზინის კანცლერმა, ინგ... ...ლის ბანკის დირექტორების ცნობების ...მდეგ, განაცხადა: მთავრობა მხათაა ...ურველყოს ინგლისის ბანკი შესაძლე... ...ელ ზარალისაგან, რომელიც მოყვება ...ნგლისის და საზღვარგარეთის საბირო ...ესილისის დახსნას გაცემულის 22 ივ... ...ისამდე. ამნაირათ იგი ეკმარება-მრე... ...ველობას საშოვლებას მისცეს დაე... ...ბრუნდეს თავის მშვიდობიან პირობებს. ...ადმცნალო აცხადებს, რომ ინგლისის ...ებრობა სამხრეთ-აფრიკის სახელმწიფო... ...ებთან დაცული იქნება. ინგლისის ზე... ...ადხედველობა საჭიროა გზებზე დღითი... ...ე ძლიერდება.

ტერგურგი. 31 ივლისს ფინანსთა მინისტრის საბჭოს დიდ დარბაზში გა... ...ადილი იქნა პანაშვიდი კალაშის ხსნა... ...ადრის, სოკოლოვის სულის მოსახსე... ...ებლათ, რომელიც გერმანელების ჯარმა ...ახვრიტა. პანაშვიდს დაესწრენ ფინანსთა მინისტრი, მხედრები და ფინანსთა სა... მინისტროს უმაღლესი მოხელენი.

კოპენჰაგენი. იტყობინებიან, რომ ვე... ნიდან საფრანგეთის ელჩი შეიცალიათ საფრანგეთს დაბრუნდაო.

პარაზა. იტალიის ელჩმა ტიტონმა მი... ...მართა იტალიელებს, რომელნიც საფრან... ...ეთში იმყოფებიან, მოწოდებით დარ... ...ნენ იქვე, რადგანაც იტალიაში გამეფე... ...ელია დიდი ეკონომიური კრიზისიდან. ამ ...ამათ რუნის ჭშით მიმოსვლა ძლიერ ...ძნელია, ტიტონი ამბობს, რომ იტალიამ განაცხადა ნეიტრალიტეტი და ამიტომ ისინი საფრანგეთში უზრუნველყოფილი იქნებიან და მათ მცხოვრებლები და მთავრობა თანაგრძნობით მოეპყრობიან. პოლიტიკურ წრეებში ამ მოწოდებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, იმ თვალსაზრისო... როლის მიხედვით, რომელსაც თამაშობს ტიტონი იტალიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოსკოვი. ევაკუაციისა და დაჭრილ ჯა... რისკაცთა განაწილების შესახებ გამოირკვა, რომ ქალაქებს აქვთ 2500 საწოლი. გადაწყვეტილია გახსნან საეკლესიო ფაბრიკა მარილისა და ბამბის, გაგზავნონ ქალაქებში ინსტრუქტორები, რომ შეასწავლონ დაჭრილთა მოვლა.

ლონდონი. ბრიუსელიდან დეპეშით იწყებიან, რომ ხალხთან ბრძოლამ მთელი დღე გასტანა.

ხალხისა, დისტომისა და ზელიკომის მიდამოებიდან ტერი განდევნეს. ბრძოლის ველი დაფენილია მკვდრებითა და დაჭრილებით. ბელგიის საპოლიციო ძალებმა აიფეთქეს ორი ხიდი. დიდძალი დაკვა და ცხენი დარჩა ბელგიელებს. 50 ჩორსო (ოთხკუთხა) ადგილ მანძილზე 200 მკვდარი გერმანელი დათვალეს.

ვიენა. 31 ივლისი. მთელი დღის განმავლობაში საგაზეთო კელა მიიღო ცნობანი მრავალი ორგანიზაციის დაარსების ჯარში გასული მეომართა ოჯახების დასახმარებლათ. სხვათა შორის, იაროსლავის ერობამ დაადგინა გადასდვას 10.000 მან. და გახსნას საავთმყოფო 25 საწოლით. ოდესის საქალაქო ფაკულტეტი შეუდგომლობს, რათა კლინიკები გადაკეთებულ იქნას დაჭრილთათვის საავთმყოფოთ. კიევის სამხედრო ერობამ დაადგინა მოაწყოს საავთმყოფო ასი საწოლით და მიეშველოს ინტენდანტებს ჯარისათვის სურსათის მოგროვებაში. რიგაში არსდება სამი საავთმყოფო 50 საწოლით თითოში, ეკატერინა პალატა ადგილს წითელ ჯვარს 25 საწოლს თავისი მოწყობილობით. მანუფაქტურა „პროდოვოლიკი“ (შეუმაგალი) აწყობს სადოსტაქრო საავთმყოფოს 50 საწოლით. სხვადასხვა საზოგადოების ორგანიზაციებიც აწყობენ საავთმყოფოებს: მინსკის პირველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ გადასწყვიტა მოაწყოს ლაზარეთი 75 საწოლით. რუსის კლუბში გაიმართა პატრიოტული კონცერტი, შემოსავალი გადადებულია დაჭრილითათვის საავთმყოფოს მოსაწყობათ.

გროზნოს ქალაქის სამჭომ გადახდა 30000 მან. სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დასახმარებლათ. ნავთის მწარმოებელნი სწირავენ წითელ ჯვარს 100000 მანეთს. დაჭრილთა და დასახიჩრებულთა დასახმარებლათ. კირილოვის სახაზრო ერობამ დაადგინა ჯარში გაწვეულებს შეუნახოს ჯამაგირები და 3000 მან. სესხათ მისცეს ჯარში გაწვეულთა ოჯახებს პირნახულის შესაგროვებლათ. კრემენჩუგის სამჭომ 5000 მ. გადალდგა სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დასახმარებლათ.

გაჩნიზგეთი. ვენის კორეს. ბიურო იუწყება, რომ სამხედრო საჭიროებისათვის ახალი საშუალების მოსაპოვებლათ, მთავრობის განკარგულებით, გაზეთის თითოეულ არაჩეულებრივ დამატებაზე გადახდეს 2 გელერი (გელერი—ორ მეხუთედ კაპიკს).

ომის დღიური.

რუსეთ-გერმანიის ომი.

გენერალური შტაბის მთავარ სამართველოს ცნობით, მდგომარეობა გერმანია-ავსტრის საზღვარზე შემდეგია: გერმანელებმა დაიკავეს ბლოკლავი ვისლაზე. იმავ დროს რუსის ჯარების მოწინავე რაზმები გადავიდენ ავსტრიის საზღვარს. უკანასკნელ და თვალსაჩინო ამბად რუსეთ-გერმანის ომისა უნდა ჩაითვალოს ის ამბავი, რომ რუსის ჯარებმა ავსტრიის ქალაქი სოკალი აიღეს და ავსტრიელებისაგან გამზადებული მდინარე ბუგზე გადასასვლელი მასალა დაწვეს და ქალაქიდან ავსტრიის ცხენოსანი რაზმი და ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი ქვეითა ჯარი გარეკეს მდინარე ბუგს იქით.

საფრანგეთ-გერმანიის ომი.

მდგომარეობა ფრანგ-გერმანელთა ომის თეატრზედ გართულდა. ფრანგები შეიდენ ელზასში და, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, ალტკირხენი და მიულჰაუზენი დაიკავეს. თავისდაკვალად გერმანელებმაც გადალახეს საზღვარი და დაიკავეს ლონგვი, ლონგიუონი, მერვილი და კარტონი. გერმანიის ჯარისაგან დაკავებული პუნქტები ტერიტორიის იმ ადგილს იმყოფებიან, რომელიც საზღვრებს ბელგიასა და ლიუქსემბურგის საპრუსოგოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადგილები დაკავებულ იყო იმ ჯარისაგან, რომელმაც ლიუქსემბურგი გაიარა.

როგორც ჩანს, როგორც ამ ადგილების დასაკავებლად, ისე მიულჰაუზენის აღების დროს, დიდი ბრძოლა მოხდა. ეს ჩანს იქიდან, რომ გუშინდელი დეპეშა პარიზიდან, ოფიციალურად უარჰყოფს იმ ხმას, ვითომც მიულჰაუზენთან ფრანგებს 20000 კაცი დაეკარგოს.

არა ნაკლებ დიდი ბრძოლა უნდა მომხდარიყო საფრანგეთის ტერიტორიაზე სიმაგრე ლონგვისთან. 29 ივლისს ლონგვი და სხვა ადგილები გერმანელებმა დაიკავეს და იმ ვედროს გერმანიის პატრულები მონმედისთან გამოჩნდენ, რომელიც გაცილებით ჩრდილოეთით სდგას ლონგვიდან. მონმედი ბელგიის საზღვარზე სდგას და უნდა ვიფიქროთ, რომ იქ გადასვლას აპირობს გერმანიის ის ჯარი, რომელიც ბელგიაზე მიდის. ასეთი დასკვნა ეთანხმება იმ ცნობას, რომელიც ბრუსელის გაზეთებმა რუსეთის საზღვარზე ტობიოისა და დაბიაუსთან. კენიგსბერგი ზედად გამაგრებულია ბატარეებით, რომელნიც დგანან ბადაშში. ამ ცნობათან მყოფი გერმანელი ჯარი აიძულებს ვისლაზე მოშმედილ ტრის ჯარს მოსაგერებელი რაზმები გამოგზავნოს ჩრდილოეთისკენ და ამით დასუსტოს თავისი ძალა.

შემდეგ არის ფორტი დეტანი, (ბოიონი) ორი ჯვარედინი სიმაგრით და დროებითი სიმაგრებით მაზურის ტბების პირად. ეს სიმაგრები ჰკეტავენ აქაურ შესავალ-გასავალს, ხოლო თვითონ გერმანელებს კი, რასაკვირველია, მათი შეწყობით უზრუნველყოფილი აქვთ თავისუფალი მოქმედება და მიმოსვლა.

შეიადლეც წვრილ მზეკრავ და პატარა-პატარა რაზმებისა, რომლებსაც მტერი გაგზავნის რკინის გზის ხიდების დასანგრევათ, აღმოსავლეთ პრუსიის მთელ საზღვარზე გამართულია წვრილი სიმაგრები. ბლოკაუზები: ყველა ხიდზე აგებულია ვითომ მათ „დასამშვენებლად“ კოშკები და კაზარმები მსროლელ ჯარისკაცთა და ტყვიის მტყორცნელებისათვის. ამას გარდა, მობილიზაციის გამოცხადების მერე, იქნება პირველ, დღესვე პრუსიის მთელ საზღვარზე გაიშლებიან ფრუნოდებული „ტყის მცველები“.

გაცილებით უფრო სუსტადაა გამაგრებული სილეზიისა და პოზნანის საზღვარი. გერმანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ამ საზღვარს, რადგან აქით მხარეს რუსეთს ცოტა რკინის გზა ჰქონდა დაგებული. ხოლო ბოლო დროს, ვარშავა-კალიშის რკინის გზის აშენების შემდეგ, მნიშვნელობა მოემატა პოზნანის საზღვარსაც.

ეს საზღვარი გერმანიისა მაშასადამე გაცილებით სუსტადაა დაცული. აქ არის ციხეები: პოზნანი ერთადერთი პირველხარისხოვანი ციხე ამ საზღვარზე მკვდრი ფორტებით, კალიშე მეორე წყების ციხე, ბრესლაუ ნახევრად მკვდრი ციხე, კოშტრინი ძველი ციხე და 4 ფორტი, გლოგი და ხესსე ძველი სიმაგრეები მთის გასაღებში.

ზევის ნაპირების გასამაგრებლად ავეღებული პატარა ციხეები: სვანემიუნდე (ვისთულა ოდერის შესართავთან), ფრიდრახსროფე იცავს კელის არხიდან მომავალ ნაპირო-სიმაგრეს: გადვერტე და სანაპირო-სიმაგრენი: გადვერტე, გრეიფსგლედი, სტრალზუნდი, გუსტოუ, რუგენი, გრეიფსვალდი და გელდ.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის დაგვანება.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა დაადგინა, თუ სამხედრო მოქმედება ოსმალეთსაც შეეხო, ოსმალეთი უნდა მიეხროს, ავსტრიას და გერმანიას. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო სახლდამ შინისტრი ჯემალი.

„ოფიც. დასტ.“ დეპეშები.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ჯარმა მიულჰაუზენი აიღო, გერმანიის ჯარი კოლმარისკენ წავიდა. შეიარაღნი საალეო წესები გამოაცხადეს.

ლიეჟში ბელგიას მრავალი ფიცარი გაუწყდა, რადგან ფიცრებს გერმანიის საუკეთესო მსროლელნი უმიზნებენდენ თოფებს. ეტყობა, გერმანიამ კარგად იცის, თუ სად დგანან ფიცრები, თუმცა უკანასკნელებს სალდათების ტანისამოსი აცვიათ.

ინგლისის ფსკერმა ზარბაზნები დაუშინა ჩენეთში გერმანიის ცირტაოს.

სტოკჰოლმში ცნობა მიიღეს, რომ ვილჰელმს უნდა ბელგიის შეერთებაო.

ინგლისის სხვადასხვაგვარი აზრი.

ინგლისის მთავრობას დღიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მომხრობოდა საფრანგეთსა და რუსეთს, მაგრამ გადაჭრილ გზას მაინც ვერ დაადგა, სანამ საკმაოდ არ გამოირკვა ინგლისის ხალხის შეხედულება სავნის შესახებ.

საფრანგეთის სოციალისტების გაზეთი

საფრანგეთის სოციალისტების გაზეთი „ლჰუმანიტე“ სწერს, რაკი მშვიდობიანობის დაცვის ცდამ ამაოდ ჩაიარა, საჭიროა მამაცად შეეხედეთ მომავალ ამბებს.

საჭელო წესება საფრანგეთში.

მთელს საფრანგეთსა და ალჟირში საჭელო წესებია გამოცხადებული.

ოსმალეთის მხედრობა.

ბულგარეთში ცნობა მიუღიათ, რომ ოსმალეთის გემები გაჰკრეხიან შავ ზღვაში ნავსადგურებიდან. ანატოლიის რიგად რიგად დაიბარეს დესანტების გადასასვლელი ტრანსპორტები გამზადებული დანან.

ბალკანეთში.

სამეზობლოს და რუმინის ელჩებმა განუცხადეს ბულგარეთის მინისტრ-პრეზიდენტს, ჩვენი მთავრობანი პუქარესტის ტრაკტატის დაცვის მამხრენი არიანო. ბულგარეთის მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა: ეგ ტრაკტატი უკვე დაარღვიესო.

ბრძოლა ჰაერში.

საშინელი ომი, რომელიც დღეს რა-სხვასავით მოევლინა მთელს ევროპას, ცხადია, მრავალმხრივ საინტერესო და მრავალ შედეგიანი იქნება. ერთი, რა შინდომარი და უსარტულესია ამ საერთაშორისო ომისა ისიც ცხადია, რომ დღევანდლამდი ზღარბებში ნათქვამი ომიანობის წოთელი ფერია, მართლაც მიიღეს მონაწილეობას თავიანთ წირულს ბრძოლაში და საშინელ ცეცხლის წარღვნას აწვიმებს ხელჩართულ ბრძოლაში გართულს თუ სანგრებში ჩასაფრებულ მოპირდაპირეს. ჰაერის ფლოტზე მოგახსენებთ საფრენებში დიდად ხელს უწყობს და ადვილებს ბრძოლის ასპარეზის დაზვერვას, ცნობების სწრაფად გადატან-გადმოტანას, მოპირდაპირე ლაშქრის დაბომბვებისა თუ მოძრაობის სურათების გადადებას და ყუმბარების სროლას ტრის რაზმებში.

ამის გამო ყველა ახლომეზობელ სცდილობს აღიჭურვოს რაც შეიძლება მეტი და მიზანშეწონილი საფრენებით, დირიჟაბლებით და სხვ.

მოვიყვანოთ ცნობანი დღევანდელს საერთაშორისო ომში ჩაბმულ სახელმწიფოებისა.

გერმანიის ჰაერის ფლოტში ირიცხება 32 ჰაერის გემი: ამთაგან 12 ცეპელინია, ამ ცეპელინებს საერთოდ შეუძლიან ტონაზე 500—700 ფუთის სიმძიმე.

ამ ჰაერის გემებზე მომეტებულ ნაწილად ტყვიის მფრქვეველებით და სწრაფ სასროლი ზარბაზნებითაა შეიარღებული. ცეპელინს საათში შეუძლიან გასრულდეს 82 ვერსი და მოწაზე ჩამოუშვებლად გაიაროს 3200—45000 ვერსამდი. თითოეულს ცეპელინზე მოწყობილია უმავთულო ტელეგრაფი და პროჟექტორი.

გერმანიას აქვს ერთი ჰაერის კრეისერი 1 ხარისხისა, 9 მეორე ხარისხის კრეისერი, ორი საზღვარი ჰაერის გემი და 9 სადარაჯო და საეარჯიშო ჰაერის ვეძი. თითო ასეთს საჰაერო გემებს შეუძლია 60 ფუთის სიმძიმე ისროლოს მიწაზე.

ჰაერის ფლოტისათვის გერმანიას 44 სადგური აქვს: ახენსა, ალენშტეინსა, მიკენდორფსა (კოინლინან), ფუნსგაფენსა, დისუზდენსა, დიესელფორფსა. მაინისფრანკფურტსა, ფრიდრიხსჰაფენსა, ფუსმიუტელსა (ჰამბურგთან), ჰოლსა, გრაუდენცსა, ჰანოვერსა, იოჰანისტალსა (ბერლინის მახლობლად), კილსა, ცენიგსბერგსა ლაბსა, ლაიპციგსა, ლიგნიცსა, მანცელსა, მეცსა, ჩაინფასსა (ზენგჰაიმთან) შნაიდემულსა, სტრასბურგსა, ტეგელსა (ბერლინის მახლობლად), ტორნსა, ტარიროსა და ვანნში.

გარდა ამისა 30 ადგილას საგანგებო სადგურები აქვთ მოწყობილი, ღამე საფრენად გერმანიას 21 ჰაერის კანდელი აქვს, რომელიც მოწყობილია უმაღლეს ლითონის მწვერვალზე ან პროჟექტორზე. გერმანიას უყავს 1500 მფრინავი, ამათგან 500 სამეფო პირი.

ისე საფრენების რაოდენობა 1000 აღწევს. საფრენებისა და მათი მამოძრაველი ქარხანა ჰქონიათ 40—50. ჰაერის ფლოტში ირიცხება ხუთი შეომარი ბატალიონი სამსაი ორტისაგან შედგები და ოთხი ორ-ორ ტყიანი მფრინავი ბატალიონი.

ბავარიასაც ჰყავს ერთი მფრინავი ბატალიონი და ერთიც მეომარი ბატალიონი ორ-ორ ტყიანი. საქსონიას ჰყავს ერთი მფრინავი ტყა.

ავსტრია უნგრეთს აქვს სულ სამი დირიგაბლი, ბრძოლისათვის გამოუსადეგარია. 10 საფრენი პარკი აქვთ: ორი ვენერ-ნეიშტადში, 2—მოსტარში, 2—ასპერნში, 1- კრაკოვის მახლობლათ, 1 ვენის მახლობლათ,—1 გორცში და 1 სამხრეთით—ნეიხაუში. ყურძო მფრინავთა რაოდენობა ავსტრო-უნგრეთში ასს უდრის.

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელის შვილების

ქუთაისში.

ამით ატყობინებს რომ, **ზოგიერთ ფასებში** საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები,**

მიღებულია და იყიდება პორფიელები, უბის წიგნაკები (ჩიჩყები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჰუარჭელულობის, აეთჯეულობისა და ელექტროსის მოწყობილობის ბილეთა ქ. ქუთაისში.

ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მახაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება ავრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაულო, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფენები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავების), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთები. ვაკრობა დაწინაულიანადღე, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობის თვალყურს ადევნებს ჩვენგანი სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტექნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დეპო ლამპეულის, ჰუარჭელულობის, აეთჯეულობისა და შეალებისა ქ. ქუთაისში.

ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება ავრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაულო, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფენები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავების), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთები. ვაკრობა დაწინაულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

იტალიას აქვს 10 დირიჟაბლი, ჰყავს 12 გაწვრთნილი მფრინავთა რაზმი, თითო კორპუსში თითო მფრინავი ყოფა და 7 საფრენი აქვთ. სამხედრო უწყებას 150 ჰაეროპლანი აქვს, თითო ესკადრაზე ექვსი-ექვსი.

საფრანგეთის საზოგადოებამ ფრანის საქმისთვის 6 მილიონი და 26 ათასი ფრანკი შეაგროვა. ამ ფულით შეძენილი აქვთ 208 ჰაეროპლანი და ყოფა 75 გაწვრთნილი მფრინავი, რომელიც ომის დროს მონაწილეობას იღებენ. საფრანგეთს 100 საფრენი სადგური აქვს. მთელი ეს ძალა საფრანგეთს თავმოყრილი ყავს გერმანიისა და ბელგიის საზღვრებთან.

საფრენები საფრანგეთს გერმანიაზე მეტი აქვს. მფრინავი ყავს 2500, ამათგან 700—800 სამხედრო პირია. საომარი ჰაეროპლანი 1913 წლის გასულს საფრანგეთს ჰქონდა 450, ახლა კი 1000 აქვს. ძნელია მთელ რაოდენობის გამოანგარიშება, რადგანაც საფრანგეთში 30 ქარხანაა საფრენ მანქანებისა და მათი მოწყობილებისა. საფრენების რიცხვი 100 აღემატება. საფრენების მამოძრავებელის დასამზადებლათ საფრანგეთს 2 ქარხანა აქვს საფრანგეთის საფრენი ძალა ასეა დანაწილებული: ერთი მფრინავი კორპუსი რაზმებათ ყდას შალებდონში, დედა-გუნი არვერსალში, სენ-სირში, მოშეში, ვერდუნში, ტულაში, ეპინალში დებელფორში. მეორე კორპუსი: ლიონში, ტულაში, ეპინალში, ეტაპში, ავორში, პოში და სამხრეთ-აფრიკაში. მესამე კორპუსი: რეიმს, სენ-სირსა, შალონსა, მოშეესა დუესა და ვერდუნში. საფრანგეთის ყველა საფრენები, დირიჟაბლები და მათი მამოძრავებლები მთელ ქვეყანაზე საუკეთესოდ არის მიჩნეული. საფრანგეთს აქვს 18 სათვარი დირიჟაბლი, საფრანგეთს აქვს 22 საფრენთა სადგური.

ინგლისსა აქვს 100 ჰაეროპლანი, უმეტესად ჰიდრო-ჰაეროპლანი. ჯარს უნდა ჰყონდეს 250 საფრენი. ინგლისსა ყავს 300 სამხედრო მფრინავი, კიდრო მფრინავთა რაოდენობა 500 აღემატება.

დღეგანდელი მთელი ევროპისათვის საბედისწერო ბრძოლა გამოაშენებს მებრძოლ სახელმწიფოთა ძლიერებას ჰაერში ბრძოლაშიაც. ვნახოთ ვინ გაიტანს ღელოს, ვის დარჩება ბურთი და მოედანი.

(ს. ფ.).

ფყალდიდოგა ოკარიგაში.

გუშინ, 30 ივლისს, დიდი უბედურობა დატრიალდა: დაახლოებით საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, რომ მდინ. წყალწითელამ არაჩვეულებრივად მოიმატა. ადიდებული წყალი ერთბაშად გადაეკრა ჭალებში და ალაგ-ალაგ ნახევარი და ალაგ ერთი ვერსის სიგანეზე ჰორიზონტალი გაანადგურა. წყლის ტალღებში ხშირათ ამოტივტივებდნენ დამხრჩვალ ცხოველებს, ხიდის ნანგრევებს, სახლის ყორის-ფიცრებს, ძირიანათ მოთხრილ ხეებს, წისქვილის სათავის ხრეგებს და სხვ. პატარა ხანს შემდეგ ასტყდა გულ შემზარავი ტირილ-კივილი და ამ ტირილში ხშირათ გაიგონებდით თითო ოროლა წაღვლიან სიტყვებს... ვაი, ვაჰ, ყანებო!!. ვაი, წისქვილო!!.. და სხვ.

აგრეთვე წყალმა კინაღამ იმსხვერპლა ტ. პირცხალაშვილი, რომელიც შეშის დასაჭრელათ იყო წყლის პირას გაჩერებული. მაგრამ უეცრათ მოიტაცა წყალმა და სოფ. ოდილოურის ჭალებში შემთხვევით ხეზე გარჩენილაო, ეს ამბავი სწრაფად აცნობეს პოლიციას და ივი მცურავებით დახმარებით დახსნას გადაარჩინეს.

P. S. როგორც ოკრიბიდან გვაცნობებენ, აქ ხიდები, წისქვილები და ჭალებზე ნახნავ-ნათესი ჩრინახული სულ ერთიანათ გაუნადგურებია წყალსა. სხვათა შორის, წაღებულია გელათის, და კურსების ხიდი, აგრეთვე ძალზე დაზიანებული წყალწითელას ხიდი, რომელზეც სიარული საშიშოა. კარგი იქნება, თუ ქალაქის გამგეობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს და ხიდის შეკეთებას დაიჩქარებს, თორემ ისედაც გაუვრებულ სოფლელებს უხიდობის გამო ცხოვრება უფრო გაუთრთულდებათ. ურიგო არ იქნება, თუ ადგილობრივი მთავრობა ყველგან განკარგულებას მოახდენს დაკლეულ ხიდების გასაკეთებლათ და თანაც შეუდგება დახარალებულთა ცნობების შეკრებას, რომ მათ მიერ იქნას აღძრული შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე დახარალებულთა ნივთიერათ დახმარებისათვის.

ტყიბულის გზაზე მატარებლების მიმოსვლა უგზობისა გამო შეწყვეტილია.

კარლო წერაქვე.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდად:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **პრეგული** პირველ დაწყებითი სკოლებისათვის. შედგენილი ქუთაისის საანგარო სკოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მაღნეული წელის

ა ბ ა ნ ო

როშელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმს), ტანზე დაყრილ ხუნკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გიმაროთ,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მოიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატრონისგან **გ. მ. არჯავანიძე.**

მ უ შ ა ო გ ს

სრესილის მაღნეული წელის

ძმ. ჭოროლაძეების

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს** (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ცივებას (მალარიას) კუჭის ტკივილს,** ვენერიულ ავათმყოფობას, **ეგზემას,** სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი,** სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელი საშუალი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ხომიერია, აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში" ხრესილში** სტანციაა მატარებელის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის".

ნ. ს ტ ე რ კ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

ქუთაისში

ველოსიპედები



ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე

ყველაზე იაფად

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქ უ თ ა ი ს ი ს შ ი.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მეოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენინისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

ქ. შ. წ.-გ. გამავრცელებელი საზოგადოების

ზუგდიდის განყოფილება

აწყობს ზუგდიდის პირველდაწყებითი სკოლისათვის მასწავლებელს, რომლისათვის საჭიროა ქართული სამღერა-გალობის ცოდნა. ჯამაგირი იქნება წელიწადში 400 მან. მასთან ბინა, განათება, გათბობა და მოსამსახურე. თხოვნა უნდა გამოიგზავნოს დ. ზუგდიდში გამგეობის სახელზე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი, 3. გამოცდებითი და მასაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინადღემდეც შემთხვევაში, ხაბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი წმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

შ ე ქ ს პ ი რ ი ქ ა რ თ უ ლ ა დ!

გამოცემა ივანე მაჩაბლის თარგმანებისა.

მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ

შ ე ქ ს პ ი რ ი ს

რვა ტრაგედიის გამოცემაზე: ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოს ცემას დაეთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათიეე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დაიგდება 1915 წლის თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრობაშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის.